სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-04-05/249

ქ. თბილისი

20 სექტემბერი 2018

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ზღვის საინჟინრო გეოლოგიური განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საიჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ზ. კაკულიას 17.09.18 წლის № 01.09.33/4855 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის № 01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ზღვის საინჟინრო გეოლოგიური განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური (0,5 საშტატო ერთეული) ადგილის დასაკავებლად;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე